საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-124

11/02/2020

ქ. თბილისი

შპს „ნორიოს საოპერაციო კომპანიაზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ბლოკ ოპერეითინგ კომპანიზე“ გადაცემის შესახებ

2020 წლის 5 თებერვალს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართა შპს „ნორიოს საოპერაციო კომპანიისა“ და შპს „ბლოკ ოპერეითინგ კომპანის“ დირექტორმა. შპს „ნორიოს საოპერაციო კომპანიამ“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „ბლოკ ოპერეითინგ კომპანიზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

სამინისტროს მიერ შპს „ნორიოს საოპერაციო კომპანიის“ ნორიოს ნავთობშემკრები ბაზის (ნავთობის საცავების) ექსპლუატაციაზე გაცემულია №16 (15.05.2013) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და №2-54 (23.01.2020) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ნორიოს საოპერაციო კომპანიის“ ნორიოს ნავთობშემკრები ბაზის (ნავთობის საცავების) ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება უვადოდ გადაეცეს შპს „ბლოკ ოპერეითინგ კომპანის“;
2. შპს „ბლოკ ოპერეითინგ კომპანიმ“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 23 იანვრის №2-54 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;

3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ბლოკ ოპერეითინგ კომპანის“ და შპს „ნორიოს საოპერაციო კომპანიას“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბლოკ ოპერეითინგ კომპანისა“ და შპს „ნორიოს საოპერაციო კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი